

# თეატრი სსსრებში

ბათუმის სალიცენზიის ქვეყნული

№ 7 - 1915.

მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და სსსრებში“-ში

15 თებერვალი



თბ. ქართ. მომლ.-მგალობელთა გუნდი, მ. კავსაძის მიერ დაარსებული 1910 წ.  
დღევანდელი კონცერტის გამო სახალხო სახლში

№ 7  
შინაარსი:

- 1, მეთაური — უშველოთ ჩაგრულ ძმებს 1
  - 2, იოსებ არიმათელი — აკაკის ძეგლი 2
  - 3, ღრუბელი — მამის საფლავზე „
  - 4, კ. ჭიჭინაძე — ეს არის? 3
  - 5, ჯაფარ-ფაშა — ვლ. აღ-მესხი შვილს 4
  - 6, ლადო ბზვანელი — აკაკის სამგლოვია-  
რო დღეს „
  - 7, დია ჩიანელი — მშობლიურ ცის ქვეშ „
  - 8, ი — ელი — სახალხო მუშაკნი-ნ. ი. ბალან-  
ჩივაძე (სურათით) 5
  - 9, ს. მგალობლიშვილი — აკაკი (მოგონება)
  - 10, ალ. შანშიაშვილი — ქალი გრძნეული,  
(გაგრძელება) 9
  - 11, ივ. მაჭავარიანი — ქართული მართლ-  
წერა 12
  - 12, სილოვანი — აკაკის ხსოვნას 13
  - 13, უსავანა — მგოსნის დეკრძალვა 14
  - 14, ქართული სახიობა. 15
- წვრილი ამბები „  
სურათები; განცხადებანი.

რამაძისისაგან. დ. მ-ს „ომი, ომზე, ომის გამო“ ჩვენ გან დამოუკიდებელ მიზნის გამო ვერ იბეჭდება. — ამ ნომრისთვის აწყობილი გ მ-ს უძველესი საბერძნეთის თეატრი და ზ. ჩ-ძის „პ. ი. ჩიკოვსკია შემდეგი ნომრისათვის გადაიდო. — მალე დაიწყებთ ვ. კოტეტიშვილის კრიტიკულ წერილის „შავი წიგნის“ (შ. არაგვისპირელის გარჩევა) ბეჭდვას

შემდეგ ნომერში დაისტამბება გ. დ — ის „ფართული გრძობა“.

თანამშრომელთა საშუალებოდ ვაცხადებთ — სხვა რედაქციებში გაგზავნილ მასალას ჩვენთან ნუღარ გამოგზავნიან და მით უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაგვყენებენ.

მდგომარეობაში და მ. ჭორიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება | „შემაღური ნაბიჯი“ | „მედია“

ძმ. ზუბ. სახალხო სახლი.

კვირას 15 თებერვალს 1915 წ. 2 შეერთებული გუნდი 1, ქართველ მომღერალ-მგალობელთა და 2, ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა (60 კაცი) საგან შემდგარი მიხეილ კავსაძის ლობთარობით ახლად შეკერილ გუნდის საკუთარ ქულაჯებით, ჩერქესებით და გლეხურად გამოწყობილი გამართავს 4 განყოფილებად დიდ სახალხო ორიგინალურ

**კონცერტს**

ძმ. ნიკოლოზ და ანდრია კავსაძეების (ტრიო), თ. ლუარსაბ ჯანდიერის (სოლო-ურმული), იოსებ საღირაშვილის (ფანდური), ნ. ჩაგუნავას და სხვათა მონაწილეობით. კონცერტის პროგრამაში შედის საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სამხმოვანი სიმღერები, გადაღებული ძველ ქართულ მუსიკოსების-მიერ და აგრეთვე ნამდვილი ევროპიული ოთხხმოვანი სიმღერებიც, გადაღებული ი. რაბინს-მიერ. სხვათა შორის გუნდი შეასრულებს კლენოვსკის რერო ნანინა-ს, რაგინის-„ლაჟვარდ-ცაზედ“, ალ. კავსაძის „ზამთარიო“ს და სხვ. ბოლოს. „მუმი-მუხასა“ და „ცანგალა“-ს.

დაწერილებით პროგრ. ბილეთები იყიდება თეატრის კასოში დღით 12-2 ს. 6-8 ს. ბილეთების ფასები 10 კ-დან 1 მ. 20 კ-მდე დასაწყისი შუადღის 12 ს.

შეერთებულ გუნდების გამგეობა მორიგე წყერნი (ა. ბაქაძე (ა. ქარსელაძე (ა. ხუბუნაშვილი





№ 7

წელიწადი  
8 6 5 3 8 2

წლიურად 10 კ., ხაზგარეშე 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ., ხელის მოწერა მიიღება „საზოგადოებრივი“ საზოგადოების სტამბაში. მისამართი: **თბილისი** რედ., „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელნაწერები საკრიტიკისამებრ შესწორდება.—რედქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „საზოგადოებრივი“ სტამბის კანტორაში—ცელით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 7

კვირის 15 თებერვალი

1915 წ.

**15 თებერვალი**

**უშველოთ  
ჩაგრულ ძმებს!**

ცოცხალთა უმოქმედობით გულმოკლული სახელოვან მიცვალბეულთა გამოხმობაში ეძიებს ხსნას..

სწორედ ამიტომაც იყო, რომ სამესხეთოს წარმომადგენელმა, მოხუცებულმა, უძლურმა ქართველ-მაჰმადიანმა გულო-აღაკაიციცივილობა ცოცხლებს კი არა, მიცვალბეულს მიჰპართა... სამასი წელიწადია, რაც მტრმა დაგვაშორიშორა, მთელი სამცხე-საათაბაგო მოსწყვიტა საქართველოს.. ასარწმუნოება შევიცვალეთ, მაგრამ ჩვენი დედანა მინც არ დაგვიკარგავსო.. შენ ერთი ანათებდი მთელ საქართველოს, მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი სანათით ვერ მოიფინება ყველგან სინათლე, და საქიროა, აქეთ უფრო მრავალი სანათელით მოვიდნენ შენები და გვედღრები, დოუზარე ამ შენებს, რომ ცალ თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დეიქირონ, გვიანათონ და გვიპატრონონ, აღადგინონ ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ გაქურვებდიან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიყოფებითო..

განა ამ მუდარას კიდევ განმარტება ექირვება?

და თუ ყველა ჩვენი სიტყვები, დებეშები აკაკის მიმართ „ფიცსა ვდებთ არ უღალატო შენს ანდრისს, შენს მოძღვრებას და შენგან ვაკვეთილ გზით ვიარითო“, სამკლოვიარო ძაბით შემოსვა მხოლოდ სათვალსიეროდ არ არის მოგონილი, ყურად არ უნდა ვიღოთ მოხუცებულ ქართველ-მაჰმადიანის სიტყვები და მივეშველნეთ..

სამასი წლის წინად თუ ძალით მოაშორეს დედა—საქართველოს ქართველი ერის უპირველესი მოღვა და მიუხედავად იმისა, დღესაც უსუნთქვენ ქართველ ერთან ერთად, დღეს ლამის არის ვერავალად საპუ-

დამოდ გაგვითიშონ... აკლებულია სოფლები, დარბეულია ხალხი, გახიზნულია ქვეყანა, ორივე მხრით ცეცხლი მოსდებია და არ იციან, რა გზას დაადგენ..

ვისაც რით შეუძლიან, სწორედ ახლანდელ გაუწოდოს ხელი მრავალტანჯულ წამებულ მაჰმადიანებულ ძმათ..

სწორედ ახლა გვმართებს, როგორც იტყვიან, ფოლადის ქალამანი ჩავიცვათ, რკინის კვერთხი ავიღოთ, ქვეყნი-ქვეყნად ვიაროთ და სადღე საქიროა დაუმტკიცოთ, რომ ქართველი მაჰმადიანი, სამცხე-საათაბაგოელნი ჩვენი ღვიძლი ძმანაირან და მათი აკლება—ჩვენივე აკლებია, წ. კ. ს. და სხვა კულტურულ საზოგადოებათ თავი გამოიღონ, შესაფერი ჯარები გაგზავნონ ქართველ მაჰმადიანთა შიკრიან, აღვილობრივ პირობათა მიხედულებით, ხელმძღვანელობა გაუწიონ, ქართული სკოლები გახსნან, ქართული წიგნები გაავრცელონ, რადგან მათი სამშობლო ენა—დღესაც ქართულია, წმინდათ შენახული.. დარბეულ-დამწეულ ხალხს საქმელ-სასმელი—ჩასაცმელიც ექირვება და ამ მხრითაც დავებმარნეთ..

თუ კი უცხოეთიდან გამოიზნულნი ჩვენს დედაქალაქში ასი-ათასობით შემობრძინან, ვინას ვპოვებენ და აქვე ბინადებიან, ნუ თუ ჩვენ იქამდე მოვიყრუებთ ყურს, დავიჩლონგებთ გრძნობას, ჩვენ დევნილ ძმათ არ მივეშველებით?..

თვალის დახამამებას ნუ დაგვარგავთ უქმად..

დადგა წუთი, რადესაც წვილის დიდებული მოძღვრის აკაკის ნატვრით განვახორციელოთ და ნუ თუ უკან დავიხრეთ?

ეს უნდა ქვეყნის ქართველმა ხალხმა თუ თავისი მოღიანობისა და ხალხისობის განმტკიცება ენატრება.



# საკანის ძეგლი

უდიდესი ძეგლი აღამიანისა მისი შემოქმედების, მისი მოძღვრების გამარჯვებაა...

თვლით სახილავ ძეგლს აკაკის მაღლივ რი სამშობლო რომ დაუღდავს, ამაში ეჭვიც არ გვებადება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ძეგლი იქნება დიდებული მოსნის სრულ ნაწარმოებთა გამოცემა, რომელსაც მგოსანი მთელ სიცოცხლეში ვერ ეღირსა და სამარეში ჯარად ჩაჰყვია...

აი, რას სწერს თვით აკაკი თავის ნაწერების უკანასკნელ გამოცემის პირველ წიგნში:

ჩქართული მწერლობა სსოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ უგულავად მტეი უბედურობა-კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნაწევარ საუკუნის განმყოფობაში ორი პატარა ტომის მტეი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც **რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო** (სახი ჩვენია. ი-ი) ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აღიღებულა, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამ გვარად: გამოვა თვითეული წიგნი ორ ნაწილად, პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულიად ახსად დაბეჭდილი და მეორე ნაწილში-კი ძველი, უკვე სხვადასხვა შურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენაშენებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოაწვია ესა ანუ ის თხზულებას. აკაკი \*)

ასე სწერდა მგოსანი და თვისი განზრახვის შესრულებასაც შეუღდა, მაგრამ ვეღარ დასცალდა და ჩვენც ვერ ვეღირსენით დიდებული მგოსნის ძვირფას (შინაარს-შენიშვნებით) გამოცემას.

და თუ ჩვენ მხოლოდ თვალსივრის ხალხი არა ვართ, ამ თავითვე უნდა შევეუღგეთ საქმეს და, რაც შეიძლება, ლამაზი, სრული, და საყოველთაოდ ხელმისაწვდომად გამოიცემა მგოსნის ყველა ნაწერი: ლირიკული ლექსები, პოემები, დრამატული ნაწარმოებნი, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, სიტყვები, ნაკვესები და სხ.

ამას გვაეალებს ჩვენი საყვარელი მგოსნის პატივისცემა და სამშობლო ენის სიყვარული: აკაკის ენა ხომ მარგალიტების ზღვაა, ხოლო შინაარსი უკვდავების წყარო. მანუღარ დავაყუენებთ!..

აი, ეს იქნება უდიდესი ძეგლი!..\*\*)

**იოსებ არიმათიელი**

\*) აკაკი. ჩემი ნაწერები, პირველი წიგნი, ი. მანუეტოვის გამოცემა. თბ. 1912 წ.

\*\*) ეს წერილი გასული კვირის აკაკის ნომრისთვის\* იყო აწეობილი, მაგრამ უადგილობის გამო ვერ დაიბეჭდა.

## მამის საფლავზე

მამის საფლავზე დაფიქრებული ვდგევარ მარტოკა და პასუხს ველი, ირგვლივ ღამეა დამკვიდრებული, მღუმარებს არე, მღუმარებს ველი... მითხარი, მამავ: ნუთუ მარტოდენ სიზმარი არის ჩვენი ცხოვრება, ჩემი სიცოცხლით სოფელს რას შევსძენ, ან მე რას მომცემს საწუთროება?

მარტვი, ცხოვრებით უკანასკნელ წამს, როს ჩაგეკონა შავი სიკვდილი, ამ დროს რა იგრძენ, ან და რა მცნებას გიკარნახებდა ყოფნა განვლილი?... იქნებ საფლავის მყულრო კედლებში სცანი ცხოვრების იღუმალობა, იქნებ სამარემ გაგაგებინა ჩემთვის უცნობი ყოფნის ვალობა!?...

ვდგევარ საფლავზე, ვდგევარ მარტოკა... ირგვლივ სიბნელი გაურკვეველი, სღუმს სასაფლაო, მღუმარებს არე... მე კვლავ იქა ვარ, კვლავ პასუხს ველი.

**ღრუბელი**





**მაგსანი ვაჟა-ფშაველა**

(ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი)  
მისი ავადმყოფობის გამო

## მ ს ა რ ი ს ?

(გუძღნი აკაკის ხსოვნას)

ნელა გაიღო სამოთხის კარი.

ნელა შევიდა შიგ ახოვანი ტანის მოხუცა და კარგბზივე შეჩერდა.

თოვლივით თეთრი თმები, ვერცხლივით ხასხასი წვერი ოქროს ნათელში გაეცლო, მოხუცის თვალებმა ვერ გაუძღეს უუქს უჩვეულოს, და სახეზე ხელი მიიფარა, მაღლა აწეული თავი ძირს დაიღო.

მოხუცს კარებში მოეგება მეორე მოხუცი. რაღაც საუცხოვო მშენებელი ღიმილს ერთიან გაეშუქება მკაცრი სახე ამ უკანასკნელისა.

— მაღე, მაღე შეჩერევი, უთხრა მოხუცმა მოხუცს და მკლავში ხელი მოჰკიდა: ვერ მიტანი?

მოხუცმა თავი აიღო და შეხედა გვერდში მდგომს... უკან დაიხია, მერე ისევ წინ წაიწია, თვალები ცრემლებით აევსო, და ორი მოხუცი ერთმანეთს გადაეხვია.

— წამოდი, აი აქეთ წაივით, აქეთ არის ჩვენი უბანი. და მოხუცმა წაიყენა მოხუცი.

ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ გაჩირალდნებულ სამოთხეში. ახლად მოსული მოხუცი

ალტაცებული ვარშემო იზრებოდა და თვალ-ცრემლიანს ნათელი ღიმილით უბრწყინავდა სახე მეორე მოხუციც იღიმებოდა, მაგრამ უცრემლოდ, ოდნავ წარბ შეკრული.

— მივედით. აი, ჯერ იქ მიდი, ხომ ხედავ იმას? იცანი? -

— ვიცანი! აკანკლებული ხმით წარმოსთქვა მოხუცმა, სასოებით ხელაპყრობილი მივიდა თვალის მომპრეღლ სანახაობის წინაშე და მიუხლმოკვეთილი პირქვე დაემხო სიჩუმე ჩამოვარდა.

ისმოდა ჯერ აჩქარებული სუნთქვა, მერე თვალაქერილი ქვითინი მოხუცისა.

ღვთაებრივ დედოფალი ცრემლნარევი ღიმილით დაჰყურებდა მას თავზე...

— ეს არის? იკითხა ქულაჯაში გამოწყობილმა, საროტანადმა ჰაბუქმა და ლალი ღიმილით, კალმით ნახატი წარბების თამაშით მიუახლოვდა დედოფლის წინაშე პირქვე დამხობილ მოხუცს დაფნის გვირგვინით ხელში.

— ეს გახლავთ, უპასუხა მას მოხუცმა.

— ეს არის? იკითხა შეიჩოხიანმა ნაღვლიანად მზირალმა ჰაბუქმა და სასოებით მიუახლოვდა დედოფლის წინაშე პირქვე დამხობილ მოხუცს დაფნის გვირგვინით ხელში.

— ეს გახლავთ, უპასუხა მასაც მოხუცმა.

— ეს არის?

— ეს გახლავთ.

— ეს არის?

— ეს გახლავთ.

— ეს არის?

— დიახ, ეს გახლავთ, ეს გახლავთ, უპასუხებდა ყველას მოხუცი\*), და რაღაც საუცხოვო, მშენებელი ღიმილი იმის მკაცრ სახეს არა შორდებოდა.

\*) 1 მოხუცი - აკაკი, 2 მოხუცი - ილია, დედოფალი - თამარი, საროტანის ჰაბუკი - შოთა, ნაღვლიანი ჰაბუკი - ბარათაშვილი.

კ. ჭიჭინაძე



# აპაქის სამგლოვიარო დღეს!

(დ. ქუთაისის დაწყებითი სკოლების წარმომადგენლისაგან)

„მისთვის მომცა ღმერთმა ენა სიმართლისთვის გაეწირო, ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო, თუნდა ქვეითა დავიკირო; მოძმის ვიყო „მეშვე ქირში, ვიხარო და გავხარო, რაც კი ენახო მასში ცული გამოვსატევა და არ დავფარო.“

### აპაქი

დღეს ვასამარებთ იმ დიდებულ ადამიანს და ზეცის მუშას, რომელმაც თავისი მაღალი დანიშნულების შესახებ ასეთი მაღლიანი სიტყვები წარმოს-ქვა და აღნიშნა თავის ღრწაზე! დღეს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვით მას, ვინც 56 წლის განმავლობაში დღე და ღამე უმღეროდა ქართველ ერს ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დამყარებისათვის! ვინც 56 წლის განმავლობაში მეფერად ებრძოდა ბოროტებას და უსამართლობას და პირად—თავის მწუხარებას ანგარიშს არ უწყვედა! ვინც ქართულ მწერლობას მესამოცე წლებიდან წინ გაუძღვა, გარდაქმნა იგი, მუშაკთა რიცხვი გაამრავლა და ოჯახი სკოლას შეუკავშირა!.. დიახ, დღეს უნდა გამოვეთხოვით საუკუნოდ ჩვენს ერთგულ ქირისულაღს, ჩვენი მწერლობის მამათ-მთვარს და საყვარელგოსანს აპაქს!..

აწ ვეღარ ვიხილავთ იმის ღვთებრივ სახეს, იმის გრძნობიერ დაწნაულ თვალებს! ვეღარ დავსტკბებით იმისი ტკბილი ბულბულის ენით!.. მშვიდობით საქართველოს ბულბულა და დიდო მასწავლებლო! ამ გრძნობიერ დღეს გამოვსატევა შენი ქება-დიდება და არც გესაჭიროება; რაც შენი იუბილეს დღესასწაულობის დროს გაგიგონე, იმაზედ უკეთესს ვერაფერს გეტყვი, ხოლო დღეს მეც ჩამოვედი დედა ქალაქ თბილისში, რათა უკანასკნელად გადავავლო თვლი შენს სპეტაკსა და სხივ-მოსილ ქალარას და ამასთანავე გადმოვიცე, რომ ჩვენც ქუთაისის დაბალი პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებნი, როგორც საერო ისე სასულიერო უწყების ერთად მთელ ქართველ ერთან ცხარე ტრემლებს გაფრქვევით და მუხლ მოღრეკით თავიანთ ვცემთ შენს ცხედარს. სიტყვას გაძღვით, რომ ჩვენ მოსწავლეებს გავუღვივით გულში შენ მიერ ნაანდერძევი სიმართლის მსახურება და ის იდეალი, რომელსაც შენ თავგამოდებით ემსახურებოდი.

რეზოლი შენს სიციხლემში!..  
მშვიდობით, ძვირფასო მამავე; თუმცა შენ ხორციელად მოგვმორდი, მაგრამ შენი ღვთაებრივი სახე ყოველთვის თვალწინ წარმოგვიდგება ჩვენ და ქართველი სახალხო მასწავლებელი, ვიდრე იასრსებებს ქართველი „ქერი, ყოველთვის გახსენებს სკოლაში და ვერ დაივიწყებს შენს სახელს! **ლადო ბგვანელი**

## ვლ. ალ-მესხივშილს\*

ქართული სცენის შუქურავარსკვლავეთ, ვინც ოცდაათ წელს გვიტკობდი მშენას, ვინაც შესძინე უკვდავი ტიპნი ათეულწუნებულ ჩვენს ქალაქს სცენას, შენ, ვინც გვაწავლე პატივისცემა, შეგნება-ცნობა ხელოვნებისა, ვინაც აღზარდე მთელი თაობა, შექმენე ტაძარი უკვდავებისა.  
ვინაც გავაცნო პრინცი ჰამოეტი, გვამცნო აკოსტას კენესა გულისი; ვინც დაგვიხატა ძლიერის ნიჭით ზრახვანი ფრანკის ბოროტ სულის; მას, მაღლიერი სამშობლო ერი, დღეს მდაბლად უკრავს მოწიწებით თავს და წრფელის გრძნობით, აღსაყვამ გულით განგებას შესთხოვს მის დღევანდელობას. სკოცხოზბდეს დიდხანს სცენის ვარსკვლავი ქურუმი ქართულ ხელოვნებისა. სკოცხოზბდეს ლადო—კვლავ სადიადლო სამშობლო ქვეყნის, ობოლ ერისა!..  
**ჯაფარ-ფაშა**

\* საქართველოში ქუთაისში მსახიობის საიუბილეო დღესასწაულზე.

## მშობლიურ ცის ქვეშ...

(პაწა პოემა პროზად)

— გუშინ პირველად მწველი ეწმით გაიცინა კოლხეთის მნათობმა... გაიცინა და მხურვალე სხივები მთა-ველს მოჰფინა.. ჩემს კუკურსაც მოვლამურა მისი კისკისა სხივი, მარა მე მიანიც არ გავიშლენი..  
არა...  
მის სიცილი ვერ აათამაშებს ჩემი კუკურის სათუთ ფურცლებს.. ვერ გადმოშლის.. ვერა.

ჰო, ეგოდენია ჩემი სევდა, რომ ამ გაზაფხულზე ჩემი სინაზის ზღაპარს კვლავ ვეღარავინ მოისმენს. ბურქიდან კარგად ვი-



ხედობლი, როცა თოვლით დაფენილი კორ-  
ლები, მინდვრები ადამიანთა სისხლით იღე-  
ბებოდა. ვუტკერდი ამას და მთლათ დავდნი...

აი, ახლა იქ საფლავები მოსჩანს... ჩემს  
ახლოსაც რამდენიმეს ვაუთხარეს საუკუნო  
ზინა... რამდენი კვნესა მესმოდა, რამდენი—  
ვაი ღედა. ამან მე დამიკრიცა ნორჩი კუკუ-  
რი—გული დამიდნო... ვერა, ვეღარ გავი-  
შლები ამ გაზაფხულზე ..

მეშინია ქორჩიოტას ყვავილივით ადა-  
მიანის სისხლით წითლად არ შევიღებო,  
მეშინია...

ასე მოსტკვამდა იის მცენარე და ცრემ-  
ლებსა ღვრიდა. სევდით ეკუმშებოდა სათუ-  
თი გული, რომ ვერ გაიშლიდა, ვეღარ და-  
ატკობს სევდიანი ლევნდით გარშემო არეს!..

უცებ ვილაც, როცა ის ასე მოსტკვამდა,  
შავით მოსილი ასული გამოჩნდა... ნელი  
ნაბიჯით მოდიოდა იგი... ობოლ საფლავს  
მიუახლოვდა. დაიჩოქა... იქვე პაწა ბუჩქს  
დაეყრდნო და ცხარე ცრემლი წასკდა...

— ვინ, ვინ მოგივლის, ჩემო ბიჭო!  
ხომ ობოლი, ობოლი იქნები აქ... ქვიითი-  
ნებდა ასული და ცხარე ცრემლსა ღვრიდა...

— ვინ მოგითხრობს ამ ხრიოკ ფერდობ-  
ზე სიყვარულის ზღაპარს! ვილა გახარებს  
გაზაფხულს?!

ლაბა-ლუბით ჩამოსდიოდა ღმწვებ-  
ზე ცრემლები ასულს და ბუჩქში მყოფ  
იის დამცრალ-უსიცოცხლო კუკურებს ებ-  
კურებოდა ..

— ვილა, ვილა იქნება, ჩემო ბიჭო, აქ  
შენი მეგობარი! მოსტკვამდა ასული

შეკრთა ია. ატოკდა მისი დამცრალი  
კუკური.

— მე... მე მე ვიჭენები ამ საფლავთან.  
მე ვახარებ საფლავში ჩაქედილს გაზაფხულს...  
მე, მე მოგიუთხრობ წარსულ სიყვარულის  
ზღაპარს... ამოსკდა იის გულიდან და გადა-  
შალა კუკურის ფურცლები ..

და როცა ასულმა თავი აიღო, ბუჩქის  
ძირას რამდენიმე გაშლილი ია დაიხარა...  
დაიხარა. წაიხარა მიწას დაეყრდნო, ეამბორა  
სათუთ ყვავილებს. ნელა საფლავებს მოშორ-  
და... ასულის თვალებში რაღაც სიხარული  
კრთოდა. გაშლილ იას კი თავი მიღლა აედლო.

იგიც ილიმოდა... ილიმოდა, რომ ომე...  
საფლავთა მეგობარი იგი იქნება!.. და საფ-  
ლავში ჩაქედილ ვაქებს მარტო იგი მოუთ-  
ხრობს, თუ ქვეყნად რა ხდება!..

წი ხიანე

# სასაღსო მუშაკნი

## ნესტორ იოსებისძე ბალანჩივაძე



ნ. ი. ბალანჩივაძე  
(1885—1915)

დღეს მეთრამცე  
დღეა, რაც სასაღსო  
მუშათა რაზმს გა-  
მათკლდა ერთი გულ-  
წრფელი მუშაკი, ნ. ი.  
ხონის საზაფხულო  
თეატრის საძირკვლის  
სამუშაო, სტენის  
მოუვანე და მწერალი  
ნესტორ იოსებისძე  
ბალანჩივაძე.

შეძლებულ ვა-  
ჭრის შვილი ნ. ი.  
ბალანჩივაძე დაიბადა  
დ. ხონში 1885 წ.  
გიმნაზიაში სწავლის

შემდეგ ზეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელში  
დასრულა კურსი იურიდიულ ნაწილზე და საზო-  
გადებრივ მუშაობას შეუდგა. ზრატკიეული მო-  
დაწყობის განრდა მწერლობასაც მოჰკიდა, ხელი  
რამდენიმე წერილი მოათავსა „ბათუმის ვახუთ-  
შია ერთგულ სკიოთის შესახებ, მაგ-  
რამ რუსეთში უკუგუნელმა სენმა—კლე-  
ქმა შეიპურა; იუხუდავად ამის იგი გამა-  
ლებით შეტდინებოდა და სწუროდა მშრომელი  
საღსისა და სემობლო ქვეყნის საკეთილ-  
დღეოდ მუშაობა, მაგრამ ადარ დასცადა.  
იგი მარქსის მოძღვარების მიმდევართა  
ერთი იმთავანი იყო, რომელნიც კარგ-  
ნულ მხარეს დიდს გურადღებას აქვეყნენ: დღეს  
გვჭირთა ასეთი მუშაკნი და სწორად ამითა ბა-  
ლანჩივაძის უდროფო სიკვდილი საშინელია. გან-  
სვენებულ ნესტორს დარჩა დაუბეჭდელი ხელნა-  
წერება: იმედის მისი თანამოაზრენი უფრადღე-  
ბით მოეხურობიან უანგარო მშრომელისა და იდე-  
ური მოღვაწის ნაწერებს.

# ე ტ ე ტ ი

(მოგონებანი \*)

ერთს რომელიღაც მეცნიერს ჰქვითეს: რა-  
ღა სულ მიტანადავს სურათებით ავამისა  
შენი საშეგნადნო ოთხიო?

— ეს დიდებული მიტანადავს მასულ-  
დგმულელები, ღამე შენადნეობის დროს ეგები  
მადლევინ ძალას, მხნეობას, აზრს მადხოველე-  
ბენ და აღძრავენ ხოლმე ჩემს გონებაში მათს  
ძვირფასს სსოფნას და ათას ტბიელ მოგონება-  
სო, უმასუხა შენადნა.

მართალი უთქვაჲს მეცნიერსა.

გუშტერ, რა ჩემს სამწერლო მადგაფე  
დგმულს აკაკის სურათს, თავში ამოქოთდება  
ხოლმე ათასი მოგონებანი აკაკის ცხოვრებიდან.  
არ იცი, რომელს მოჰქვიდა სხელი, სიადან  
დაიწყო, მე აკაკი ისევე ცოცხალი მეგონა, არ  
მეშეტება სსაჲკვილოდ, ასე მეგონა ისევე აუ-  
ღერს იგი თავის ტბიელ ჩანცსა, მაგრამ უნდა  
დავუგონიხლო ბედსა და ვსოთქვა მისივე სიტ-  
უგები:

„ღეროთ, რა ენახე? რას ეხედავ?  
რა დრო დავიგედა ესაო?...“

ღიად, დაგვიდა ის დრო, როდესაც სიკე-  
ლიშმა თავისი გაიტანა, აკაკი სორციელად მო-  
გესშობდა და სსამრადისობის ცხოვრებას მისცა.

დაბუნავებულს სსაქართველოს, დამარბულს  
და ბედჩანებულს უნებ გაეღიმა: სამოციან  
წლებიდან გაუნდნენ მას გულშემატკივარნი,  
მძლავრად გაისმა ახლგაზღობის ხმა, რომელიც  
იწვევდა ქართველს ხალხს ახლი ცხოვრების-  
კენ. დაწვეს ძველს კედელს ნერევა, მათი წე  
ბარბეის ხმა ეუფხოვთ მაშინა, მაგრამ შეიღე-  
ბი მით მუჲანსა და წვევდა-კრულვას არ შეუშინ-  
დებოან. აი მათ შორის იყო ახლგაზღა აკაკიც.  
აკაკი თავდაბრეულად არ მოჰქვა იღიას „სსაქარ  
თელდის მოამბეში“, მისი ლექსები „ცისკარში“  
იბეჭდებოდა. სამოცდაათ წლამდე აკაკის ვერ  
კარგდა არ იცნობდა ქართველი მეოთხეული, მაგ-  
რამ აი გამოვიდა ლექსთაკრებული „ხოხგურთა“

მშვენიერად გამოცემული ბ. კირილე ლორთქი-  
ფანიძისაგან, აი დაიბეჭდა „მხითათში“ მისი  
„შვილი, ალექსი“, აი ამისო „კრებული“ აკა-  
კის ლექსებით, აი უოველკვირას იბეჭდება მისი-  
„რცხელ-ცხელი ამბები“ ზღრთებაშია. აკაკი სსა-  
ნატრული გახდა, გაიზარდა მისი სსახელი. მს-  
შინდელი მოსწავლე ახლგაზღობას გვეხატრებო-  
და ახლგაზღა მწერლები ნახვას. აი ჟამდ  
სასკებით ვეღარ ვიდეგენ იმ წამს, როდესაც  
ზირეულად ენახე აკაკი. სსაოკადგებაში იმ დროს  
მოსწავლე შემეზარდიელთაგან შესული იყო  
ზოგო იოსებ ბეჭაძე. იგი უველა მწერალს  
ზირადთ იცნობდა. დაგვიზრდა, მე აზგენებთ  
აკაკისო. ჩემს სისხრულს სსაღვარო არ ჰქონდა.

კვირაობით მთელი თბილისი ალექსანდრეს  
ბაღში დასკირნობდა, ახლანდელსავეთ გაოხრე-  
ბული არ იყო მშინ ეს ბაღი. სსადგ :მ ჟამდ  
ტამბას დიდებისა შემეხებოდა, იქ ჩადიდა  
ბაღში ფართო კიბე. აი აქ უუღარაჲთო აკაკის  
და ნიოლაძეს. ბეერ გამოხდნენ ისინი; სო-  
სიკომ (ზოგტს ბეჭაძეს ასე ვეძახდით) გვიჩე-  
ნა: აი ეს არის აკაკი, გოგუხა თბიანი, ის შაგ-  
წვერს კი ნიოლაძეთ. დიდებული სსანახვი იყო  
აკაკი: მადლი, ბრეე ვეჲგანი, ხუტუტი ითმა  
ბურქივით ადა თახე და შეიოსჯარდა ფართე  
და ხათელს შუბლსა. წვენ მხსხველნი, გამოვლენ-  
ხდით, აღარ ვერძნობდით სსად ვიეფით, ისე  
მიევიზიდა მისმა სსანახობამ. ის იყო და ის,  
აკაკი სსამოცდევლოდ გაღაქტა მშინდელი ახლ-  
გაზღობისა. მშინდელ მოსწავლე ახლგაზღო-  
ბამ ბძაჲ დაუწყო თვისს მოწინავეებს; თვითო-  
ნაც ხელთნწერი ჟურნალები გაიხიხეს, თვითო-  
ნაც ჩაერბინენ მწერლობაში. მათი ნაწერებიც  
იბეჭდებოდა მშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

არ დამავაწვდებია ის განცდა, რომელიც მე  
გამოვიარე ერთი წერილის მიტანის დროს  
„ღრთობის“ რედაქციაში. ეს იყო 1872 წ. იმ  
დროს თბილისში სემინარიაში სინოდის რევი-  
ზორი იყო ჩამოსული, რადგ რეფორმების შე-  
ტანა განისხარდა, სხვათა შორის კლასიკური  
ენების შემოდება გადასწევითეს, ამისი დიდი  
მომხრე იყო გიორგი ხელიძე, ღვთისმეტრეველე-  
ბის მავისტრი. ამისა გამო სსაგახეთო წერი-  
ლიც დაწერე, მაგრამ რედაქციაში მიტანა გა-  
სწირდა. რაგორც მოგესხებათ, იმ დროის  
„ბურსაკები“ გაუბედავი ხალხი ვიეფით მიე-

\*) ეს წერილი საგანგებოდ ჩვენი ჟურნალისთვის  
დასწერა პატრიკეიმულმა ს. მაგალობლიშვილმა და  
გასული კვირის ნომერში უნდა მოთავსებულიყო, მაგრამ ჩვენს უნებლიედ ვერ დაიბეჭდა. ებეჭდეთ  
ახლა.

რად.





მართე ექვთიამე ხელაძეს. ის მაშინ ღრთობისა  
 ასობისა იყო. წამიფხვანა რედაქციასი. აქ  
 კადრე ვიხილე აკაკი, სერგი და სხე. სულაძე  
 იყო. მე თვალთ დამიხედავ, ოფელმა დამისხა,  
 ენა აღარ მემთრინებოდა. გაშეშებული ვიდექი;  
 შემომხვრდნენ. ექვთიამე დამისხნა: ამ სემე-  
 ნარეილის წერილი აქვს გაზეითისთვისო აკაკიმ  
 ხელი გამომიწოდა, სერგომ დამილით მიმასუხა.  
 ჩათვარსელებს. აკაკიმ მოწვევად ხელი მომეცა  
 და დამიწავა. მე ეკლესიებე ვიფხვად, ხსადგასდა  
 ქურუმებთან თავი არ შედარებოდა და გულში  
 მენატრებოდა თავი დამეწიას რედაქციადან. რა-  
 ტა მითხრეს, დაბეჭდება, იარე ხოლმე ჩვენ-  
 თანო, მაშინ ცოტა შეგას მომეცა და ჭირის  
 აღი გადამიყარა...

აკაკი მალე ბურჯი შეიქმნა ჩვენის მწერ-  
 ღობისა. გულის ფანქრალით ველოდით ღრთ-  
 ებასა, განსკურთვებით კვარის ნომერს, რომ  
 აკაკის ლექსები და ფელეტონები წაგვეითხა.  
 უველა იხეზებოდა აკაკის ლექსებსა. თანდათან  
 ძვალ-რბილში უფადებოდა მოსწავლე ხსადგას-  
 ღობის მისი ნახტრევი, ღრთობასა სერგისა  
 ხომ მითი სულდემულობდა. მოგესხებებოთ,  
 სერგის მალე შეიქვედნენ ზოგაერთნი, ნაკო  
 ნივლადი და გოგონა წერეთელი წაიღეს საზ-  
 გარ გარად. შერას მხოლოდ აკაკი. მასსავს  
 განდებოდა თუ არა რედაქციასი, როგორც  
 ამის მოწობის სერგის მეუღლეც; დიდად ხე-  
 ტიფემულო ეკატერინე მესისას, მაშინვე შეუ-  
 კვეთდა სერგი ფელეტონს, ან ლექსებს ცალ-  
 კე თათხში შეიყვინდა და აკაკიც უნებ მდინე  
 ხნის განმავლობაში დამიხადებდა ფელეტონს,  
 ლექსს, ამბავს.

ხშირი სტუმარი იყო ქართლის, განსაკუ-  
 თრებით ქ. გორისა რამდენიმე კვირით, ხან  
 თვითობით რჩებოდა, ხშირად ეწვეოდა ხოლმე  
 ფანო მანაბელს. მისი ქართლად გამოსულა ნამ-  
 დელი დღეობა იყო. გორში გარს ესხვოდა  
 იქური ინტელიგენცია, მოსწავლე ხსადგას-  
 ღობა, რომელხედც დიდი გავლენა ჰქონდა აკ-  
 კის ხირად ხილვასა. მოსწავლენი დაიარებოდა  
 გორში აკაკისთან, ისმენდნენ მისს ხლანხლანკებს,  
 მისს ლექსებს, ითვითებდნენ მისკან მამული-  
 შვილურს აზრსა და მიმართულებას. თითქმის

მუდამ ხედებოდნენ აკაკის ფას-ფაშეველს,  
 ძმა ბანასა, ალექ. ნათაძე, თეოდ. სუსუიავიძე,  
 ალექ. ციმაკურიძე და სხ. და სხ. აკაკი დაუზარე-  
 ლი იყო, ხშირად ამბობდა ნადიმე სიტყვებს,  
 შიგ ზურთავდა მშენიერს ლექსს, სენილამ  
 ხომ აღტაცებაში მოჰყვანდა მსმენელნი მისს  
 ლექსებსს.

როდესაც რამე აზრი დაუბადებოდა თავში,  
 სასე გაზურწინებოდა, რადაც ფიქრი მოიგე-  
 ვდა მთელს მისს ასრებსს. ხეულებროფად მხი-  
 არული, მომადმარი აკაკი შეიცვლებოდა; თითქო  
 აზრისი დახარაკი აღარ ესმოდა, ოცნების სა-  
 მეთეში რბოდა მაშინ მისი გონება. აი მაშინ  
 სთხზავდა ის დიდებულ რამეს.

ერთხელ გორიდან თბილისისკენ ვაცადებ-  
 დით, ქალი და აკაკი მივსდევდით თან, აკაკის  
 ხელგაგრული მივსდევდით. უნებ დახარაკი შე-  
 წვიტა, ხელი გამომავდა და ოცნებას მიცდა.  
 ამ დროს მატრებელი წამოგვეწია, მე აკაკის  
 ვტრე ხელი აკაკის მკლავში და დანადგადან  
 გადმოვასტრევი.

— ოჸ, რა მიკავ! აზრები სულ დამიხიდა,  
 რა დროს ბედაძინია!

— შე დლოცვილო, კინაღამ მატრე-  
 ბელმა გაატრახათ და აზრები რადა ჟანდადა  
 გვიანდოდა-მეთქი.

შემდეგ ხშირად მომავლობდა ხოლმე: ამ  
 კანცმა სიკვდილს გადამარხინა და მე კი გაუწ-  
 ვერი.

აკაკის ნახვა ქართლში უველას ენატრებო-  
 და და დიდი წარმოდებდა ჰქონდათ როგორც  
 ამის ნაჭეც, ისე ამის გარეგნობასე. ქართლში,  
 ს. ტრეიავში, ერთ დროს დიდად განთქმული  
 ოჯახი იყო ისე ფულენიშვილისა ზურადობით,  
 სტუმართ-მოყვარეობით. გამწვლელ-გამომვლელი  
 უთოოდ მის ოჯახში მოიხევენდა, ერთხელ ვე-  
 წვიგით ამ ოჯახს, სხვათა შორის აკაკი და  
 ფანო მანაბელიც იყვნენ. მაშინამელს კაცენეს:  
 აი ჩვენი დიდი ზოტეტი აკაკიო. მორცხვმა მასხინ-  
 ძელმა იასემ ხელი მათილია შუბლთან, შეც-  
 ქერდა და უთხრა:

— შენ ხარ აკაკი? მე უფრო სხვანაირი  
 მეგობრო. ჭკუით რომ მდევნი ხარ, გარეგნო-  
 ბითაც მდევნი მეგობრო.

აკაკიმ თავისებურად გადახარხარა მასხინ-  
 ძლის უდნურ სიტყვებისა გამო.



**მიხეილ ლონგინოზისძე კავსაძე**

ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდის ლიტბარი (დღევანდელი კონცერტის გამო სახალხო სახლში)

აკაკიმ, თუ არა ვცდები, პირველმა დაიწყო ჩვენში ლექტორობა. იმისი ლექციები „გვიფხვის ტუაოსანსე“ დიდძალს ხალხს იზიდავდა, სხვათა შორის გორშიაც წაიკითხა. ამ ლექციის გამო ინციდენტი მოხდა.

გორის საერებლო დარბაზი მოვაწვეთ სალექციოდ. შევედით მე და ნიკო დასასმადიქ სადამო ჟამზე და რასხედავთ. სკამები აუღებოათ. შევატყეთ, რომ ერთს მამასახლისთაგანს აელაგებინებანა. დასასმადიქ ცეცხლი მოეკიდა კინაღამ შუაზე გაგლიჯა, ძლივს ცოცხალ-მკვდანი გავაგდებინეთ. ლექციას დიდალა ხალხი დაესწრო, შემდეგ დადებულნი ხადიო გავმანათეს...

აი დღეს პოვეშორდა ხორციელად დადებული ჭირისუფალი თვისი ტურფა სამშობლოსი. აუსრულდა პოეტს დიდი ხნის ნატურა... დღეს მთა-წმინდა ჩაიკრუს თვის წაღშა თვისს დირსუფს შვილს, იგი ხომ მას ეხვეწებოდა:

„ნურც მკვდარს გამწიანავ, ნურც ცოცხლს, ზე კალთა დამთარეთ!..“

დღეს მთელი საქართველო შენს წმიდა ცხედრის წინაშე მუხლს იღრეკს, იღრეკს იმის

წინაშე, რომლის რსიდილი ბევრჯერ ტრემდავდა მწარე“ იყო სამშობლოს გულისთვის.

მეტ მთელ საქართველოსთან მუხლს ვიდრეკ შენს შინაშე, დადებულა ქართველო!

*ლ. მკვათაძე*

**მ მ ი ს მ ს ხ ვ ე რ კ ლ ი**

შტ.-როტმისტრი თავ.

**მიხეილ ალექსანდრესძე წერეთელი**

პრუსიის საზღვარზე, კარპატებს იქით, გმირულად ბრძოლის დროს მოკლული. შთამომავალი იყო იმერეთის წარჩინებულ თავადთა, მის წინაპრებს იმერეთის მეფეთა კარზე დიდი გავლენა ჰქონდათ. მსახურებდა ჩრდილოეთის პოლკში, შემდეგ ქუთაისის გუბერნატორთან საგანგებო მინიბილიტებათა მოხელედ. ომის დროს თვის სურვილით შევიდა რუსთა ლაშქარში. დაკრძალულ იქმნა დ საჩხერეში ამა წლის იანვრის 10



შტ. როტ. თავ. მ. ა. წერეთელი





თუშნეგსურთა დეპუტაცია მეფის წინაშე  
წამდგარი 1914 წ. 28 ნოემბერს.

# ქ ა ლ ი ბ რ ძ ნ ე უ ლ ი

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 2-3)

## ჰანგო სიჩუმის შემდეგ

ნუ დამსტოვებ, დედოფალო,  
თუნდ იძიე ჩემზე შური!

**ძნეო** ვარდას რტოს სახეზე წამაჰკრავს  
რა კარგი ხარ!—კმარა ჩემო,  
შემომხედე მხიარულმა;  
რა ხელი აქვს შენთან კრემლსა,  
მოიდაროს შენმა გულმა.  
ზღაპარს გეტყვი და გაგაცნობ  
მზეთ უნახავს, შავბნელ თვალას;  
მას სახელად უწოდებენ  
ყველა ერთხმად ძნეო-ქალას

ისმის ნული მუსიკა

ერთხელ იმას ხმა მოესმა:

შენ იქმნები ერთად ერთი  
დედოფალი ასულთ შორის  
და მიჯნურთა დიდი ღმერთი.  
ვინც არ გიცნობს, ასე იტყვის:  
„მონა არის და სხვა რაო?“  
უფრო მეტად შეგამკობენ,  
გეტყვიან, თუ: „ზარაო!“  
ნამდვილად კი მთელ სამყაროს  
დაეუფლო, იღვა ფესვი.  
მამაკაცზე ბრძანებლობდე,  
მოალხინო, ვითხრას ლექსი,  
თვის თავსა რომ უხმობს ბატონს,

მონა იცოს უარესი.

შენ იქმნები იგი სარკე,  
სად თავს იჩენს დღლათ სქესი!  
ამის შემდეგ განელო ხანმა,  
მართლაც უფლობს ძნეო-ქალა;  
მისთვის თავსა ბევრი სწირავს,  
ხელთ უპყრია დიდი ძალა.  
მის დარბაზში ურიცხვია  
განწირულთა თავის ქალა.  
მსხვერპლსა მსხვერპლი ეიატება,  
გამოიღო კვლავ ბარაქა.  
მე ზღაპარი დავასრულე,  
ჭირი იქა, ლხინი აქა!

**ჰანგო** მაგ ზღაპარმა ჩემი გული  
ბასრის პირით თუმც დასერა,  
თუმცა მამცნო შავი ბედი,  
გარდუვლი მისიე წერა —  
მაინც, ძნეო, ხარ ძვირფასი,  
მსურს მარად ჟამს შენი მზერა.  
ტრფობა ცუდად არ ჩაიფლის,  
დედოფალო, მე ეს მჯერა.  
როს ამომხდეს გულის კვნესა,  
ეს იქმნება სევდის ჟღერა;  
სხვა მიჯნურმა მოისმინოს  
ტრფობის ლოცვად ჩემი მღერა.



**ძნეო** ჩემი სახე შენს ლოცვაში აღიბეჭდოს, დაიხატოს; და, ვით გითხარ, მოხიბლული მსხვერპლი მსხვერპლსა მიემატოს.

**ჰანგო** უკვე შევთხზე შენზე ლოცვა, ჰალადებენ სოფლად სხვანი; ჩემმა ერმა მისთვის მიძღვნა მე გვირგვინი და ებანი!

**ძნეო** ერთი ნახეთ, ვით იკვების, მალლა იწვეს მისი თქმანი! შენ რა ხარ, რომ აღვამაღლონ, შენებარ მღერენ ბევრნი ყმანი. მე, შენს მიჯნურს თავს მაწონებ სიტყვით უკვდავს მინავგარი? მსურს მავიტომ შეგიყვარო? — ამაოა შენი ცდანი. შეტად ღცინჯიო ხა, ხა, ხა, ხა! ერთი ნახეთ ვით აღმოჰხდა კენესის თქმანი!

ცვაად უმსკერს

**ჰანგო** დედოფალო!

**ძნეო** რაო ჩემო?

უცბად მივა, მოეხვევა და გაშვავებით ჰკოცნის არ მიყვარხარ, არა! არა!

გაეცლება

ევ ამბორი შენთვის კმარა!

ჰანგო აენთება, მის კვალს მიჰყვება, თუ შემიპყრობ, გაკოცნიებ!

**ჰანგო** აკი სთქვი, არ მიყვარხარო?

**ძნეო** გაგებუშრე, დაიჯერო?

**ჰანგო** მაშ გიყვარვარ?

**ძნეო** ხა, ხა, ხა, ხა!

**ჰანგო** მაშ გიყვარვარ?

**ძნეო** გეტყვი მერე!

**ჰანგო** ეხლავ მითხარ!

**ძნეო** თუ შემიპყრობ —

**ჰანგო** სტდილობს შეიპყროს აკი ესციდილობ და მისხტებტი!

**ძნეო** ვერ ხარ მტკიცე!

**ჰანგო** ხომ შევიპყარ!

**ძნეო** ვერა, ვერა! ხა, ხა! სცდები!

**ჰანგო** მითხარ, ტურფავ, თუ გიყვარვარ!

**ძნეო** სხვა უშენო მიჰხედებოდა!

**ჰანგო** რასა?

**ძნეო** იმას, რომ მიყვარხარ!

ასე რაოდენჯერმე შემოირბენენ. ჭლოი შავ ფარდის უკან გაირბენს. ჰანგოც მიჰყვება. ფარდა გადაიხსნება და გამოჩნდება სხვა და სხვა ჩოხჩხები და თავის ქალები

კმარა! შენ ვერ დამიპირე და ვერ ირგე ამით ლხენა. მე თვით შევდექე. აჰა, გკოცნი — აწ მომაპყარ შენი სმენა.

ჰხილავ, ამ ჟამად სად ვიმყოფებით, ჰხედავ აქ შუქი რარიგ მიმკრთალა? შენსა გარშემო, ჰხედავ, ამ ჩონჩხებს, რამდენი არის აქ თავის ქალა. აგერა, იქით! აგერა, აქეთ თეთრკბილიანი და დაღრეჯილი! იგი მოვიდა ჩემთან პირველად, ის იყო ერთ დროს მეფისა შეილი.

